ოქმი №3

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2024 წლის 2 სექტემბერს.

სხდომა დაიწყო 12:50 საათზე, დამთავრდა 13:00 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ს. ოდიშარია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ლ. უჩანეიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზ. ნაჭყებია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბ. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე - ბ. ხურცია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ი. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - ლ. ჯინორია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობი“-ს თავმჯდომარე - ლ. კუჭავა.

ასევე ესწრებოდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საკრებულოს აპარატის უფროსი – ლ. თულაძე, აპარატის თანამშრომლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ს. ოდიშარია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 9; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2024 წლის 30 აგვისტოს შემოსულია სენაკის მუნიციპლიტეტის მერიიდან მომართვა №40-402424385 (სარეგისტრაციო №12-41242431-41) დადგენილების პროექტი - ,,საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“; განკარგულების პროექტი - ,,საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, სადაც მოთხოვნილია წარმოდგენილი პროექტის განხილვა და გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა და ასევე აღნიშა, რომ მიზანშეწონილია დაინიშნოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა წარმოდგენილი საკითხის განსახილველად.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 8; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. სენაკის სმუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას განსახილველად წარედგინოს საკითხები შემდეგი დღის წესრიგის პროექტის სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

,,1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 2 სექტემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე- საბა ოდიშარია

2. ,,საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე- საბა ოდიშარია“

2. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა, რომელიც გაიმართება სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2024 წლის 3 სექტემბერს.

3. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 3 სექტემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თობაზე“.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: საბა ოდიშარია